თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 10

27 სექტემბერი 2024 წ. **ქ. თელავი**

სხდომას ესწრებოდნენ: 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 24 დეპუტატი :

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

პირველი მოადგილე მამუკა ბურდიაშვილი;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები:	**ალექსანდრე შათირიშვილი,**
	მიხეილ დაღუნდარიძე;
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ლილუაშვილი;**
საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**თინათინ ხანჯალიაშვილი;**
საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე	**გიორგი ხაჭაპურიძე;**
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	**უჩა ჭოტიაშვილი;**
საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე	**დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **ზურაბ მოსახლიშვილი, ზაზა ტატულიშვილი, ოთარი ესიტაშვილი, მარიამ ლილუაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“** თავმჯდომარის მოადგილეები: **ივანე დალაქიშვილი, აბრაამ მახარიაშვილი,**

საკრებულოს წევრები: **ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქართლელიშვილი, იმედა კევლიშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, მერი მაისურაძე, გელა ესიტაშვილი** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **ნიკოლოზ მეტრეველი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები;

მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა **დღის წესრიგის პროექტი**

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რამაზ ჩეკურიშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

   მომხს. უ.ჭოტიაშვილი
   12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

2. ბექა მაზანიშვილის მიერ ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 959 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს. ლ.მერაბიშვილი
   12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

3. ჯარჯი ფოთოლაშვილის მიერ ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 961 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს. ლ.მერაბიშვილი
   12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

სამანდატო, საპროცედურო და იურდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **უ.ჭოტიაშვილმა** მოითხოვა დღის წესრიგს დაემატოს საკითხი: „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში „ნაციონალური მოძრაობა“ განხორციელებული ცვლილებების შესახებ“.

უ.ჭოტიაშვილის მიერ დაყენებული საკითხის დამატებით **დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა წევრმა.**

აგრეთვე აღინიშნა, რომ ლ.მერაბიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-3 და მე-4 საკითხებს წარმოადგენს მერის პირველი მოადგილე **ნ.მეტრეველი.**

მოქალაქე **ა.მჭედლიშვილმა** მოითხოვა საკითხების განხილვის შემდგომ განცხადების გაკეთების უფლება.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რამაზ ჩეკურიშვილისთვის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს. უ.ჭოტიაშვილი
12.00სთ-დან - 12.10სთ-მდე

გადაწყვიტეს: 2024 წლის 02 სექტემბრიდან თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის რამაზ ჩეკურიშვილის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა **მიღებულ იქნეს ცნობად**.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

მომხს. უ.ჭოტიაშვილი
12.10სთ-დან - 12.20სთ-მდე

გადაწყვიტეს: 2024 წლის 20 სექტემბრიდან თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილის გიგი გიგიტელაშვილის თანამდებობიდან გადადგომა და აღნიშნულ თანამდებობაზე ივანე დალაქიშვილის არჩევა **მიღებულ იქნეს ცნობად**.

3.მოისმინეს: ბექა მაზანიშვილის მიერ ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 959 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
12.20სთ-დან - 12.30სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **თ.ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა, რომ ქონების მართვის კომისიამ განიხილა წარმოდგენილი საკითხები და მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტებში მიზანშეწონილად ჩათვალა შესწორებების შეტანა, კერძოდ: სააუქციონო პირობის შესრულების ვადა ორი წლის ვადის ნაცვლად განისაზღვროს ერთი წლით, იმისათვის, რომ ქონების შემძენმა დროულად მოახდინონ სააუქციონო პირობის შესრულება, რადგან ქალაქისათვის მეტად მნიშვნელოვანია საპარინგე ადგილების და გამწვანების ზონების მოწყობა.

საკრებულოს წევრები და **პროექტის წარმომადგენილი** დაეთანხმნენ **თ.ხანჯალიაშვილის** მოსაზრებას და საკითხი კენჭისყრაზე დადგა შესწორებული ფორმით.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> **დამტკიცდეს პროექტი სხდომაზე გამოთქმული ცვლილების გათვალისწინებით** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>**4.მოისმინეს:**</u> ჯარჯი ფოთოლაშვილის მიერ ქ. თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 961 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი საუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს. ნ.მეტრეველი
12.30სთ-დან - 12.40სთ-მდე

<u>**გადაწყვიტეს:**</u> **დამტკიცდეს პროექტი სხდომაზე გამოთქმული ცვლილების გათვალისწინებით** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **ყველა** წევრმა).

<u>**5. მოისმინეს:**</u> **„სხვადასხვა“**

ა.მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ სუბიექტებს არ გააჩნიათ თანაბარი შესაძლებლობები განათავსონ თავიაანთი სააგიტაციო მასალა.

ა.მჭედლიშვილს განემარტა, რომ სააგიტაციო მასალის განთავსებისას თანაბრობის პრინციპის დაცვაზე ზედამხედველობა წარმოადგენს აღმასრულებელი ორგანოს უფლებამისილებას.

საკრებულოს თავმჯდომარის

პირველი მოადგილე **მამუკა ბურდიაშვილი**